ოკრანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
Organe du Bureau à l' Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

ჩვენი დროშა

"NOTRE DRAPEAU"

დამაარსებელი — ნოე ჟორდანია

№ 100

პარიზი ივლისი 1983

შინაარსი

ოცდაექვსი მაისი; — ———
რას დღესასწაულობენ! ლ. ფალავა.
ეროვნული გლოვის დღე; კ. ინასარიძე
საქართველოს დაპყრობის წლისთავი; გ. ნაკაშიძე.
ნოე ჟორდანიას გარდაცვალებიდან 30 წლისთავი ლ. ფ.
წერილი საქართველოდაან; ჩვენებური
რას სწერდნენ . . . ———
„მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის"; დამსწრე
26 მაისი პარიზში. წერილი სოშოდან;
ნეკროლოგები, ჩვენი ფონდი და სხვა.

PRESIDENT N. JORDANIA

1868 - 1953

26 მ ა ი ს ი

26 მ ა ი ს ი ქართველი ერის დამოუკიდებლობის გამოცხადების და როგორც თავისუფალი ერის საერთოშორისო ასპარეზზე გამოსვლის დღეა. ამ დღეს დაიწერა და გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელიც რაც დრო არ უნდა გავიდეს, ის დარჩება ნუდამ სასახელო, საამაყო ყოველი ქართველისათვის.

მოსაწონია ჩვენი წარსული, ძვირფასია ჩვენი ისტორია, სავსეა იგი სახელოვანი შემოქმედებით, საარაკოა ეპიზოდებით, მაღალი განცდებით და გმირიული ბრძოლებით.

26 მაისით ქართველმა ხალხმა დაამტკიცა თავისი პოლიტიკური სრულწლოვანობა, მისი სახელმწიფოებრიობა, და თავისთავის პატრონობისათვის სრული მომზადებულობა. ჩვენ ვდღესასწაულობთ ამ დღეს, ვდღესასწაულობთ ჩვენს დაბადებას, ჩვენს სახელმწიფოს, ერათ აღდგენას ჩვენს პოლიტიკურად მკვდრეთით აღდგენას.

საქართველომ საყოველთაოდ და ყველასავით აშკარად დაამტკიცა, რომ ის თანამედროვე ერია, თავისუფლების სულითა და გულით მოტრფიალე და ის მტერია მონობისა და ძალმომრეობის მთელი თავისი არსებით.

26 მაისის დიადი მნიშვნელობა იმაშია, რომ ამ დღეს, ქართველი ერი თვალს ავლებს მის ახლო წარსულს, ამწყოსს და მომავალს, უკეთებს ჯამს მის საგმირო საქმეებს და ემზადება სხვა უფრო დიდ საგმირო საქმისათვის, რადგან ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება 1921 წლის თებერვლში, ჩრდილოეთიდან მოსულმა დამპყრობელებმა ბოლშევიკური დიქტატურის სახით ქვეყანას ძალით წაართვეს, რის გამოც 26 მაისი გახდა, არა მარტო ჩვენი დამოუკედბლობის, არამედ ჩვენი ერთობის დღეთ, რადგან არ არის თავისუფლება ეროვნული ერთიანობის გარეშე.

ეროვნული თავისუფლების დასაცავად საქართველომ, მეთვრამეტე საუკუნეში დაუახლოვდა რუსეთს. ვიცით თუ რა ვერაგობით დამთავრდა ეს დაახლოება, რადგან რუსეთმა დაიპყრო საქართველოს მიწიწყალი, გააუქმა სასიცოცხლო ეროვნული სულის მიმცემი წეს - ადათები და გაამეფა სამარცხვინო ძალმომრეობა - თვითნებობა. ახალმა რუსეთმა არც განახლებული 26 მაისის საქართველო დაინდო და წითელმა ჯალათებმა მცირეოდენი ქართველი მოღალატეების წინამძღოლობით 1921 წლის 25 თებერვალს, მიუხედავად 1920 წლის 7 მარსის ხელშეკრულებისა, თავზე ქურდულად თავდასხმით მოახდინა საქართველოს სრული სამხედრო ოკუპაცია.

ქართველი ხალხი, ძალით თავზე მოხვეულ რეჟიმს წინ აღუდგა, აქტიური თუ პასიური წინააღმდეგობით, უხეშ ძალას თავგანწირვით დაეტაკა, ბრძოლა გრძელდება, ფიზიკური ჭრილობა გაივლის. საქართველომ დაამტკიცა რომ ის მორალურად ცოცხალია, ის სულიერად არ მომკვდარა და არც მოკვდება. 26 მაისის თავისუფლების დროშა მის გულში ღრმად მარხია.

მოსკოვი თავის აგრესიულ სახეს ვეღარ მალავს, მისი იმპერიალისტური ზრახვები საყოველთაოდ გამოაშკარავებულია, მისი იზოლიაცია თანდათანობით ძალაში შედის.

ქართველი ერის ნებისყოფა ურყევია, ის მომავალს იმედით ასხივოსნებს და გამარჯვებაში დარწმუნებულია. კარგად იცის — ტირანია დაემხობა, ერი აღსდგება, დამოუკიდებელი რესპუბლიკა აღორძინდება..

გაუმარჯოს 26 მაისს —

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.

რას დღესასწაულობენ

„ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს, და მერე განიკითხოს თვით დროების შვილნიცა“.

ილია ჭავჭავაძე.

რუსეთის იმპერიის, და ქართლ - კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ხელშეკრულება, გეორგიევსკის ტრაქტატის სახელწოდებით არის ცნობილი.

უკვე 182 წელზე მეტია, რაც რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია ე. ი. იმ დღიდან, როდესაც რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სენატის გადაწყვეტილების საფუძველზე იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა თავისი მანიფესტით 12 სექტემბერს 1801წ. აღიარა და მოახდინა სრული ანექსია ქართლ - კახეთის სამეფოსი, და გამოაცხადა რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად. ეს ისტორიული დოკუმენტი სურთ გადმოასვენონ დღის სინათლეზე ვით გარდამოხსნა მის გარშემო გამართულ სადღესასწაულო საზეიმო მორთულებაში აღიჭრონ ის ყოველ დროისთვის, რუსეთის იმპერიის მშვიდობიანობის უკვდავ ისტორიულ ძეგლად, და ამით გახადონ კაცობრიობის საერთაშორისო უკვდავ საგნად. საბჭოთა იმპერია დღეს თავის შინაურ, და საგარეო მდგომარეობის კარნახით მიზან შეწონილად სცნობს უჩვენოს და განუმარტოს მსოფლიოს წარსული ეპიზოდების ფაქტებით, რომ ყოველდროის რუსეთის სახელმწიფოს, თავის წარმოშობის დღიდანვე ამოქმედებდა თანდაყოლილი კეთილშობლური ბუნება, რომელიც უაღრესად განსხვავდებოდა, და ამ ჟამადაც განსხვავდება ინგლის ამერიკის და ევროპის სახელმწ-ბის იმპერიალისტური და კოლონიალური პოლიტიკის გულშემზარავი ბოროტებისაგან. რუსეთი როგორც წარსულ საუკუნოებში იყო მართლმადიდებელი ქრისტიანული ერების კეთილ სინდისიერი დამცველი, ასეთივე დარჩა მეოცე საუკუნის მეორე

ნახევარშიდაც მოძმე ერებისადმი ბოლშევიკური კომუნიზმის ბარიკადებზე, რომ მათივე თხოვნით უზრუნველ ჰყოს მათი ეროვნული თავდაცვა იპერიალისტურ - კაპიტალისტურ ქვეყნების თავდასხმისაგან, და მუქარისაგან.

დღეს ამ ორგვარი სახის რუსული იმპერიალიზმის ე. ი. იმპერატორის და საბჭოთა იმპერიალისტების ბრძანებით, გიორგევსკის ტრაქტატის მომავალ ბალ - მასკარადის რეჟისორობა დაკისრებული აქვს ბატონ ედ. შევარდნაძეს. ეს ისტორიული დოკუმენტი ტრაქტატის სახელით ცნობილი არის რუსეთის სახელმწიფოს, და ქართლ - კახეთის სანმეფოს პოლიტიკური ხელშეკრულების აქტი, რომელიც ხელმოწერილი იქმნა ორივეს მხრიდან, იმ დროინდელ გიორგევსკის ციხე-სიმაგრეში, 24-7-1783 წ. (4 აგვახალი სტილით.) რუსეთის სახელმწიფოს მხრით ხელსაწერს გენერალი პატიომკინი, ქართლ - კახეთის სამეფოს სახელით ივანე მუხრან ბატონი, და გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც დამტკიცებული იქნა ერეკლე მეფის ხელმოწერით, და ბეჭდის დასმით ქ. თბილისში 1784წ. 24 იანვარს. ტრაქტატის ტექსტი შესდგება 13 ძირითადი და 4 საიდუმლო მუხლიდან.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, ზოგიერთი ავტორიტეტი.ნი მკვლევარები, და კომენტატორები იმ დროინდელი მდგომარეობის და ისტორიული საბუთების შედეგად მიდიან ერთგვარ დასკვნამდის: ქართველი მეფეები დაჟინებით ეძებენ რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლას.

რომ გავერკვეთ თუ რა იყო მთავარი მიზეზები ამ დაჟინებულ სურვილთა წარმოშობის, ამისათვის აუცილებელია ნათელი წარმოდგენა გვქონდეს მე 18 - ტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს შინაურ და საგარეო მდგომარეობის შესახებ. ჩვენი ისტორიიდან ცნობილია, რომ მე 15 - ტე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობა როგორც ასეთის დაიშალა, და დაიყო სამეფოებად და სამთავროებად. განუწყვეტელმა შემოსევებმა გარედან, ფეოდალურ თავადთა სამი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთთან ბრძოლებმა, და გარეშე მტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის დახმარებით საკუთარი მეფის წინააღმდეგ ლაშქრობამ, მუდმივ შინაურ ბრძოლებმა, და ანტი ეროვნულ პოლიტიკამ, გამოიწვია ქვეყნის ეკონომიურ - პოლიტიკური მდგომარეობის უაღრესად დაცემა, დაქვეითება და თვით ერის ფიზიკური განადგურება. ასეთ უმწეო, უპერსპექტივო მდგომარეობაში არგუნა ბედმა ერეკლე მეორეს ქართლ - კახეთის მეფობა. ის თავისი საღი გონებით, და უძლიერესი ენერგიით შეება შინაური საქმეების ე. ი. პირველ რიგში სოციალურ - ეკონომიურ მდგომარეობის წესრიგში მოყვანას, და აღვირ ახსნილ თავადთა ალაგმას.

სახელმწიფოს შინაგანი წესრიგისათვის ბრძოლის დროს ერის დაუძლურებული ეროვნული ენერგია საკმარისი არ აღმოჩნდა მისი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის. ყოველივე ამას თან წამოეწია ჩვენ თავადთა შეთქმულება ერეკლე მეფის წინააღმდეგ, რომელსაც პაატა ბატონიშვილი მეთაურობდა. მეფემ ეს შეთქმულება დროით გაიგო, შეთქმულნი სასტიკად დასაჯა, მაგრამ ერეკლე მეფე სათავადოებთან ბრძოლაში დამარცხდა, ყველა სახანოები წამოესიენ დაუძლურებულ მეფეს და ერს. ირანის და ოსმალეთის გამუდმებული მუქარა მოსალოდნელი იყო მოულოდნელად განხორციელებულიყო.

ერეკლე მეფეს, რომელსაც ოთხმოცი ომი ჰქონდა გადახდილი, თავის გმირულ საძლიერით, ხალხში მითიურ გმირად იყო წარმოდგენილი, და მომავალ თაობებს წარუდგინეს პატარა კახის სახელით. მეფე ერეკლესათვის გარკვეული ჭეშმარიტება იყო, გარშემორტყმული მუსულმანური სამყაროს დაუძლურება; თუ ერი ყიზილბაშ ოსმალურ მონობაში ჩავარდებოდა, მას მოელოდა სრული ფიზიკური აღმოფხვრა - ეანადგურება, ეროვნულ სარწმუნოებრივი გადაგვარება. მან საუკეთესოდ იცოდა ისლამურ გარემოცვაში ქრისტიანული ერის ბედი, თუ როგორ დაბოლოვდებოდა. მას სრული ჭეშმარიტებით სწადდა ერის ფიზიკური არსებობისათვის, ეროვნული სულის შენარჩუნებისათვის მართლმადიდებელ რუსეთთან დაკავშირება, და მფარველობა: „ქრისტეს ჯვარისათვის, ჯვარ

ცმულ ერის მეფემ ქრისტეს ჯვარისავე მმოსავი ერი მოიწვია საშველად და მფარველად". Ілია ჭავჭავაძე).

ერეკლე მეფე აშკარად გრძნობდა მოახლოებულ საშიშროებას, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც ირანის შინაურ ბრძოლებიდან გამარჯვებული აღამახმადხანი შახის ტახტზე ოცნებობდა.

„საქართველოს წინ უკვე აისახა კრწანისის ველზე, წარმომდგარი აჩრდილი რომლისათვის დასახწევი გზა ისევ ერეკლე მეორეს უნდა ეჩვენებინა, ამ გზას ის უჩვენებდა ერთ მორწმუნე რუსეთისაკენ, რომელზედაც ის კრწანისის ბრძოლის ტრაგედიის შემდეგაც ურყევად იდგა" **შალვა ნუცუბიძე.**

ერეკლე მეფემ კარგად იცოდა, დიპლომატიაში კარნახობს ძლიერი და არა დავრდომილი ერი, რომლის ფიზიკური გადარჩენისათვის საჭირო იყო სამი მთავარი პირობა,რომლებიც წარმოადგენდენ ეროვნულ განვითარების და მეობის საფუძვლებს, ეს ატრიბუტები იყვნენ „მამული ენა და სარწმუნოება" (ილია ჭავჭავაძე). ამ შეგნებით გამსჭვალულმა მეფემ ხელი მოაწერა 1783 წლის ტრაქტატს. „რომელიც დაიდო ორ სუვერენულ სახელმწიფოთა შორის, 1783 წლის ტრაქტატი აბსოლიუტურად არ უსაზღვრავს საქართველოს სამეფოს მის შინაურ უფლებებს. მეექვსე მუხლის ძალით რუსეთი ღებულობს ვალდებულებას არ ჩაერიოს ქვეყნის შინაურ საქმეებში, და არ ღებულობს არავითარ მონაწილეობას ხელისუფლებაში; არ აქვს ხმა არც სასამართლო უწყებაში, და არც სახელმწიფო გადასახადების აკრეფაში. ამავე მუხლით რუსეთი აღიარებს საქართველოს სამეფოს როგორც მოკავშირეს, და ღებულობს ვალდებულებას, რომ საქართველოს მტრებს ის სთვლის, როგორც მის საკუთარ მტრებს და მის დაცვას სთვლის სავალდებულოდ. ტრაქტატის დამატებით შეთანხმებაში დადგენილია, რომ რუსეთი პირობას აძლევს მეფეს, შემოუერთოს საქართველოს ის დაკარგული ადგილები, რომელიც მას წარსულში ეკუთნოდა, საქართველო ტრაქტატის ძალით არ კარგავს უფ-

ლებას იქონიოს დამოკიყებულება უცხო სახელმწიფოებ1 თან, მაგრამ მისი უფლება განსაზღრულია ე. ი. საჭიროა რუსთთან შეთანხმება და მისი დასტური. ამავე ხელშეკ-რულებით საქართველო ინახავს მის ინტერნაციონალურ სახეს სახელმწიფოებრიობისას. (მუხლი მე IV ე) მე 12 ტე მუხლის ძალით, რაიმე ცვლილების შეტანისათვის ტრაქ-ტატში საჭიროა თანხმობა ორივე მხარის (ლეფური.—„საქართველო და მისი უფლება" ფრანგულ ენაზე. ინტერნა-ციონალურ უფლებათა პროფესორი. - პარიზი 1932 წ.

რუსეთმა რამოდენიმე წლის შემდეგ ცალმხრივად, მიუ-ხედავათ მე 12 ტე მუხლისა სრულიად უმიზეზოდ დაარ-ღვია ხელშეკრულება და ანექსია გაუკეთა საქართველოს სამეფოს, რომელიც გამოქვეყნდა ორ მანიფესტში პირვე-ლად 28 იანვარს 1801 წელს რუსეთის მეფე პავლე პირ-ველის მიერ, მეორე კი დადასტურებული და გამოქვეყნე-ბული იქნა 12 სექტემბერს იმავე წელს, მეფე ალექსანდ-რე პირველის მიერ.

ქართველი ერი ერასოდეს არ შეურიგდა ანექსიას, მის დაპყრობას, და რუსეთის უბრალო გუბერნიათ გამოცხა-დებას, რასაც ამტკიცებს 1802 - 1804 - 1812 - 1819-1832 - 1878 წლის აჯანყებები და დასასრულს 1905 - 1907 წლის, სადაც ქართველმა ერმა მიმართა გააგის სამ-შვიდობო კონფერენციას, დაეგმო რუსეთის ანექსია, და მოითხოვა საქართველოს სუვერენობის აღდგენა.

„მეფის რუსეთმა დაარღვია რა ცალმხრივად ტრაქტა-ტის ყველა მუხლები, საქართველო თავისუფლდება ყველა მის ვალდებულებისაგან რუსეთისადმი და ხდება კვლავ სუვერენული სამეფო - რუსეთმა კი გამოიჩინა უპატივცე-მულობა პატარა ერის სუვერენობისადმი, გამცემლუ-რად, მოღალატურად, უსირცხვილოდ უარყო მისი ხელის-მოწერა, გააუქმა მეგობრული ხელშეკრულობა, გააუქმა საქართველოს სამეფო, მოახდინა მისი ანექსია-დაპყრობა და გამოაცხადა ის რუსეთის პროვინციად ანუ რუსეთის ტერიტორიად" (პროფ. ლოფური.)

ერს აყარეს ყოველივე უფლებები, და შეურაცხყვეს გმირი მეფის ხელშეკრულება და ხელის მოწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრულს მაინც გვინდა ვიკითხოთ; რა უნდა იდღესასწაულოს ქართველმა ხალხმა: ამ მეგობრული პაქტის დარღვევა და გაუქმება რუსეთის მიერ? საქართველოს ანექსია და ჩვენი დედულ - მამულის რუსეთის უბრალო კუთვნილ პროვინციად გამოცხადება? ჩვენ ვრჩებით სრული იმედით, რომ მთელი ქართველობა ერთობლივ არ იქნება პასიური აუდიტორიის როლში, იტყვიან თავიანთ პატრიოტულ სიტყვას, და არ მისცემენ საშუალებას საბჭოთა იმპერიას, რომ ბოროტი ზრახვებისათვის იქნეს გამოყენებული ის ისტორიული ტრაქტატი, რომელიც კრემლის წინაპრებმა იმპერატორებმა თავის გენერლებით ფეხქვეშ გათელეს, და საქართველო უბრალო, რუსეთს ბუბერნიათ აქციეს,

ლ. ფალავა.

ეროვნული გლოვის დღე

25 - ი თებერვალი - დამოუკიდებელ საქართველოს დაპყრობის , და ეროვნული ტრაგედიის დღეა, ვინაიდან საქართველომ ისევ დაკარგა ეროვნული თავისუფლება რომელიც მან 117 წლის, უცხო ბატონობის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს აღადგინა.

1921 წლის 11 - ტ თებერვალს საბჭოთა რუსეთის წითელმა არმიამ, რომელიც შესდგებოდა არმიის ოთხი კორპუსისაგან, ერთდროულად გადალახა დამოუკიდებელი საქართველოს საზღვრები და ხუთი მხრიდან შემოუტია ჩვენს სამშობლოს.

მიუხედავად ძალთა უთანასწორობისა, საქართველოს არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა არა თუ შესძლეს მომხდური მტრის მოგერიება, არამედ მას სასტიკი მარცხი აგემეს თბილისის მისადგომებთან -ტაბახმელაზე და კოჯორთან. მაგრამ მდგომარეობა გაუარესდა როცა თურქეთის არმიის ნაწილებმაც გადმოლახეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრები. ამის შესახებ ჟორდა-

ნია თავის მოგონებაში „ჩემი წარსული“, რომელიც 1953 წელს დაიბეჭდა პარიზში, სხვათა შორის, წერს:

„ყველა წარმომადგენელნი უცხო სახელმწიფოსი ჩვენ თანაგვიგრძნობდა. ეჭვს მიბადებდა მხოლოდ ერთი — ოსმალეთის ელჩი კიაზიმ - ბეი, ის გამოცხადდა ჩემთან მეორე დღესვე და გამიცხადა სრულიად კატეგორიულათ: ჩვენი ინტერესია საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ მიზნის მისახწევად არ დავერიდებით ომსაც ბოლშევიკების წინააღმდეგო. ასეთია ჩვენი მთავრობის აზრიო. ეს იყო პირდაპირ ჩვენი გაკეთება, ვინაიდან ვიცოდით რა დიდ მნიშვნელობას აძლევს რუსეთი ოსმალოს ნეიტრალობას. უეჭველად ამ დროს იყიდეს ოსმალოს ნეიტრალობა მოსკოველებმა, არტაანის და ერთვინის და იმობით რაიც დამტკიცდა ჩვენზე ზურგიდან თავდასხმით“

ამგვარად, საბჭოთა რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარ - ის შემოჭრის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიაზე თურქებმაც გადმოლახეს სა-ზღვრები, და ეს ორი სახელმწიფო ერთად მოქმედებდენ დამოუკიდებელ საქართველოს დაპყრობა დაქუცმაცებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როგორც მას უწოდებენ, „თურქების მამა“ - ქემალ ფაშა - მეტად მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ლენინთან, რომლისგან ის ღებულობდა შეიარაღებასა და სამხედრო საჭურველს, რასაც თურქეთი იყენებდა არა მარტო დამოუკიდებელ საქართველოს, არამედ საბერძნეთისა და დასავლეთის მოკაკავშირეების წინააღმდეგაც პირველი მსოფლიო ომის დროს. მიუხედავათ ძალთა ამგვარი უთანასწორობისა, საქართველოს არმიამ შესძლო დაახლოებით ერთ -თვე ნახევრის განმავლობაში განმკლავებოდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ჯარებს; მაგრამ, საბოლოო ჯამში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდა არმია დამარცხდა, თუმცა უკანასკნელ გადამწყეტ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა თურქეთის ჯარი ბათუმსა და მის რაიონებში, და ასე შეუნარჩუნა საქართველოს ლენი-

ნის მიერ ბრესტლიტოვსკში თურქეთისათვის ბოძებული ეს ნაწილი.

1921 წლის 16 - ტ მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ჩაატარა უკანასკნელი სხდომა ბათუმში და საქართველოს მთავრობას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დაავალა დაეტოვებია საქართველოს ტერიტორია და უცხოეთიდან განეგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენობის აღგენისათვის. ამ გვარად დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობამ, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, 1921 წლის 17 - ტ მარტს დატოვა საქართველოს ტერიტორია და თავი შეაფარა საფრანგეთს; რის შედეგად პარიზი გახდა დამოუკიდებელ საქართველოს მთავრობის სადგომად, მისი უკანასკნელი წევრის ნ. ციცაძის გარდაცვალებამდე. საბჭოთა წითელი არმიის ნაწილები ბათომში შემოვიდნენ 1921 წლის 20 მარტს.

ამგვარად, რუსეთმა მეორეჯერ დაიპყრო საქართველო: ჯერ 1801 წელს, როცა მეფის რუსეთმა, დაარღვია რა 1783 წლის რუსეთ - საქართველოს ხელშეკრულება, მოახდინა საქართველოს ანექსია, და მეორეჯერ - 1921 წლის თებერვალ - მარტში, რუსეთ - საქართველოს 1920 წლის 7 - მაისის ხელშეკრულების მიუხედავად მოახდინა მისი სამხედრო ოკუპაცია. .

საბჭოთა საქართველოს პირველი კომუნისტური მთავრობა, ე. წ - ლი „რევკომი" ცდილობდა შეექმნა შთაბეჭდილება,რომ თითქოს საბჭოთა რუსეთის არმიას არ დაუპყრია დამოუკიდებელი საქართველო, და რომ, თითქოს, საქართველოს მშრომელებმა მოაწყვეს აჯანყება საქართველოს ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობის წინააღმდეგ, ჩამოაგდეს მთავრობა და ასე დამყარდა საქართველოში ე. წ - ლი საბჭოთა ხელისუფლება. ამგვარ სიყალბეს ქადაგებდენ და დღესაც ქადაგებენ მოსკოვის დამპყრობელები. ისტორიული სინამდვილე კი ის არის, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა, მაგრამ ამისთვის უცდიდა შესაფერ მომენტს. ამიტომ სრულებით

უსაფუძვლოა ზოგიერთების მტკიცება თითქოს ლენინი დამოუკიდებელ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი იყო. სინამდვილეში ლენინი იყო არა საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი, არამედ ამ ფაქტის გახმაურების წინააღმდეგი ევროპაში, სადაც საქართველოს სოციალ - დემოკრატიული პარტიის ლიდერებს დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი.

„რა დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ საკითხს მოსკოვში, სჩანს იქიდან (სწერს ნოე ჟორდანია) რომ როცა ლენინმა გაიგო ჩვენი გასვლა, განაცხადა: „წაგებული ვართო" ამ გვარად, ლენინი დამოუკიდებელ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგი კი არ ყოფილა, არამედ ცდილობდა თავი აერიდებია „ქართული საკითხის" გახმაურებისათვის განსაკუთრებით ევროპაში, რაც დიდ ზიანს მიაყენებდა ბოლშევიკების, ისედაც გატეხილ სახელს საერთაშორისო არენაზე. ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველოს წესწყობილების დამხობა ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს შინაგანი არეულობის მოწყობის გზით, უბრძანეს წითელ არმიას გადაელახათ საქართველოს სახელმწიფო საზღვრები რის შესახებ, ლეო ტროცკი, თავის წიგნში „სტალინი" წერს: „როგორც სჩანს სტალინმა დაივიწყა, რომ ხელმოწერილი იყო მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება საქართველოსთან 1920 წლის 7 -დ მაისს, და 1921 წლის 11 თებერვალს, წითელმა არმიამ მიიღო ბრძანება გარდაელახა საქართველოს საზღვრები."

1922 წელს, აპრილში კი, როცა ტროცკი იყო წითელი არმიის სახალხო კომისარი, მან განაცხადა: „ჩვენ განზრახული არ გვაქვს დავტოვოთ საქართველო, მაგრამ თუ ისეთი სიტუაცია შეიქმნება, რომ ჩვენ უნდა დავტოვოთ იგი, მაშინ, სანამ დავტოვებთ მას ისე მივარტყამთ კარებს, რომ საქართველოდან ერთი აგურიც კი აღარ დარჩებაო".

ლავრენტი ბერიამ კი 1936 წლის თებერვალში, დაბყრობის მე - 15 წლისთავზე პირდაპირ განაცხადა: „1921 წლის თებერვალში საქართველო განთავისუფლებული იქნა ჩაგვრისაგან საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის დახ-

მარებით და შესძლო საბჭოთა დიქტატურის დამყარება".

„მხოლოდ დახმარებამ, რომელიც მიღებული იქმნა რუსეთის დიდი ოქტომბრის რევოლუციისაგან, შესაძლებელი გახადა მენშევიკური მთავრობის ჩამოგდება. ქართველი ხალხის განთავისუფლება დაიწყო მაშინ, როცა ბოლშევიკურმა რევოლუციამ გაიმარჯვა რუსეთში წითელი არმიის ძალით, რომელმაც 1921 წელს გაუწია საჭირო დახმარება ქართველ ხალხს და შემოვიდა საქართველოში", ასე განაცხადა მოლოტოვმა, საქართველოს ე. წ-ლი „გასაბჭოების", ე. ი. დაპყრობის მე - 15 - ე წლისთავზე

წითელი არმიის შემოსევამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში მიიღო, უცხოეთიდან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან თვით ქვეყანაში არ მოიპოებოდა არავინ, ვინც იქნებოდა მზად მონაწილეობა მიეღო აჯანყებაში ან რევოლუციაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარებისას, მთელ საქართველოში არ იყო არც ერთი ჩვენი პარტიის უჯრედი, რომ შესძლებოდა ორგანიზებული მოქმედება ან უზრუნველეყო ხელმძღვანელობა და ამ მიზნის განხორციელება დაეკისრა, უმთავრესად, საეჭვო ან კრიმინალურ ელემენტებსაც კი. . . . ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ქართველი ხალხის მასები შეეჩვია საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას . . . ჩვენ გამოვაცხადეთ რომ ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ შევქნათ დამოუკიდებელი საქართველო . . . მაგრამ ჩვენ სისტემატიურად ვდგამთ ნაბიჯებს, რომლებიც არარაობად აქცევს ამ შეპირებას".

ასე წერდა, სხვათა შორის, ფილიპე მახარაძე 1921 წლის 6 - ს დეკემბერს თავის მოხსენებაში, რომელიც მან წარუდგინა საბჭოთა რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვში, საქართველოს ე. წ - ლი „გასაბჭოების" შესახებ.

დაპყრობის დღიდან ყოველთვის ამბობდენ და დღესაც ამბობენ, რომ მათ თითქოს „გაათავისუფლეს საქართველო იმპერიალისტურ - კაპიტალისტურ ჩაგვრისაგან". მაგრამ სინამდვილე სრულიად სხვაგვარია: საბჭოთა რუსეთმა, ლენინ - სტალინის მეთაურობით მოსპეს, დაიპყრეს

დამოუკიდებელი საქართველო იმიტომ, რომ რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორიას ჰქონდა და აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა მისი იპერიალისტური პოლიტიკისათვის ახლო და შუა აღმოსავლეთში.

რუსეთს სურდა ხელში ჩაეგდო საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურები ბაქოს ნავთობის გასატანად საზღვარგარეთ;

რუსეთს სურდა ხელში ჩაეგდო საქართველოს ეკონომიკა - მარგანეცი, ქვანახშირი, თამბაქო, ჩაი, ბამბა და სხვა, და ამით საბჭოთა რუსეთმა, ლენინის მეთაურობით, პრინციპში გაიზიარა მეფის რუსეთის ექსპანსიური და არა რუს ერთა ჩაგვრისა და მათი რუსიფიკაციის პოლიტიკა, რომელიც დღესაც ისეთი სიმწვავით ტარდება საქართველოში, როგორც ეს ხდებოდა მეფის რუსეთის დროს. მაგრამ საქართველოს, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისაკენ მისწრაფების ისტორიული ფაქტებია ის გაუთავებელი აჯანყებები მომხდური მტრის წინააღმდეგ, რომლის კულმინაციური წერტილი საყოველთაო სახალხო აჯანყება 1924 წლის 28 - 29 აგვისტოს, და უახლოეს წარსულში, თბილისის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაციები 1956 წლის 9 მარტს, თუ 1978 წლის 14 აპრილის მასობრივი დამონსტრაცია თბილისში, და ვინ ჩამოთვლის ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისაკენ მისწრაფების სხვა მრავალ ფაქტს.

საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელ საქართველოს დაპყრობამ 1921 წლის თებერვალ - მარტში დიდი გამოძახილი ჰპოვა განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში. მიტინგები და დემონსტრაციები იმართებოდა ევროპის ქვეყნებში და ქალაქებში, რომლის დროს სასტიკად გმობდნენ ბოლშევიკების დიდმპყრობელურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ. საქართველოს საკითხზე დებატები ჩატარდა საფრანგეთისა და ინგლისის პარლამენტებში და ერთა ლიგაში. განსაკუთრებით ევროპის ქვეყნების სოციალისტური პარტიები და პროფკავშირული ორგანიზაციები აწყობდ-

ნენ მიტინგებს თუ დემონსტრაციებს მსოფლიოში პირველი როგორც ისინი ამბობდნენ, სოციალისტური და დემოკრატიული სახელმწიფოს - საქართველოს - დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ცნობილი ავსტრიელი და სერთოშორისო პოლიტიკური მოღვაწე, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი კარლ კაუცკი - თავის წიგნში დამოუკიდებელ საქართველოს შესახებ რომელიც 1921 წელს დაიბეჭდა ვენაში, - სხვათა შორის, წერდა:

„საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობის მოკლე ხანაში მისმა ერმიამ არაერთი მკაცრი გამოცდა გაიარა, მაგრამ ყველაზე უფრო მკაცრი გამოცდა ხვდა მას წილად . . . ძლიერი ბოლშევიკური ჯარების თავდასხმისას სამხრეთიდან აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ერთდროულად. ყოველივე ომის გამოცხადების გარეშე მოხდა მოღალატეობრივი თავდასხმა საქართველოზე თებერვლის მეორე ნახევარში"

ამ იმპერიალისტური აქტით კი, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, ლენინის მეთაურობით დაარღვია მის ნიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის „დე ფაქტო" და „დე იურე"..

საქართველოს დაპყრობის შემდეგ ათასობით ქართველი პატრიოტები დაპატიმრებულნი, გადასახლებულნი თუ დახვრეტილნი იქნენ, რამაც ისეთი დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართველ ხალხში, რომ მრავალ ლოკალურ ამბოხებებს, 1924 წლის აგვისტოში მოჰყვა მთლიანი სახალხო აჯანყება, რომელიც სისხლში ჩაახრჩო საქართველოს ისტორიულმა მტერმა რუსეთმა.

აჯანყებულთა „დამოუკ-ბლობის კომიტეტის" პროცესზე თბილისში, 1925წლის 22 - რ ივლისს კოტე ანდრონიკაშვილი: „დღეს, არც ერთი პასუხისმგებელი კომუნისტი აღარ იმეორებს იმ ზღაპარს, თითქოს 1921 წელს საქართველოში მუშებმა და გლეხებმა მოახდინეს გადატრიალება, ჩამოაგდეს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა, რისთვისაც დასახმარებლად შემოიყვანეს რუსის

ჯარი და მას მოუხდიხეს ოკუპაცია . . . დიახ, საქართველო დაიპყრო რუსეთმა. ეს ფაქტია".

როგორ შეხვდა ამ ფაქტს ქართველი ხალხი, ქართული პოლიტიკური პარტიები? - რასაკვირველია, ისინი ვერ შეურიგდენ ოკუპაციას . . ."

„რა მოხდა 1921 წლის თებეთვალში?" თქვა იასონ ჯავახიშვილმა, იმავე 1925 წლის „დამოუკიდებლობის კომიტეტის" სასამართლოს პროცესზე 31 ივლისს: „რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა საქართველოზე . . . არავითარი იქვის შეტანა არ შეიძლება რადეკის გულწრფელობაში როცა ის მესამე ინტერნაციონალის კონფერენციაზე აცხადებდა: „რუსეთმა იმიტომ დაიპყრო საქართველო, რომ უნდოდა უზრუნველეყო ნავთობის მისადგომი გზებიო".

მაგრამ, დაიპყრო რა დამოუკიდებელი საქართველო საბჭოთა რუსეთმა 1921 თებერვალ- მარტში, ლენინმა, საქართველოს მოსტაცა არა მარტო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, არამედ ამასთანავე საქართველომ დაჰკარგა მისი ტერიტორიის დიდი ნაწილიც:

დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია 1921 წელში შეადგენდა 91. 110 თ კვადრატულ კილომეტრს, ე. ი. 21. 000 ს კვადრატულ კილომეტრზე მეტს, ვიდრე საბჭოთა საქართველოს დღევანდელი ტერიტორია. ამგვარად, რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა 1921 წელში არა მარტო დაიპყრეს და უცხო ძალას დაუმორჩილეს საქართველოს სახელმწიფო, არამედ, როგორც ბუდუ მდივანი ამბობდა მაშინ, „მარჯვნივ და მარცხნივ" დაარიგეს ქართველი ხალხის მიწა - წყალი, რის შედეგად საქართველომ დაჰკარგა ართვინის ოლქი მთლიანად, რომლის ტერიტორია უდრიდა 3339 კვადრატიულ კილომეტრს, ფოცხოვის თემი, 588 კვადრატიული კილომეტრის ტერიტორიით; არტაანის ოლქი, 5137 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიით. ოლთისის ოლქი, 3051 კვადრატიული კილომეტრის ტერიტორიით. ბორჩალოს მაზრის ნაწილი, 3812 კვადრატიული კილომეტრის ტერიტო-

რიით. ზაქათალის ოლქი, 3564 კვადრატიული კილომეტრის ტერიტორიით; ხოლო სოჩი და მისი რაიონი თვით საბჭოთა რუსეთმა მიითვისა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდაო".

აი ასე აყარეს სუვერენული უფლებები საქართველოს, ქართველ ხალხს რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა; დაგლიჯეს დააქუცმაცეს საქართველოს ისტორიული სახელმწიფო ტერიტორია, რის შედეგად საქართველოს ტერიტორიის ერთ მეხუთედზედ მეტი მოსახლეობით, მოექცა უცხო ბატონობის ქვეშ.

„საქართველოს საკურთხეველზე დიდი მსხვერპლია მიტანილი . . . ქართველ ხალხს დღეს მართებს მოთმინება, გამაგრება, მომავლისაკენ იმედიანად გახედვა. . . ." განაცხადა ნოე ჟორდანიამ.

1918 წლის 26 მაისს ვერასდროს ვერ დაჩრდილავს სუსხიანი 25 თებერვალი, მიუხედავათ იმისა, რომ ამ გლოვის დღეს, დამპყრობელები დიდი ზეიმით დღესასწაულობენ. გავიხსენოთ დიდი ილიას სიტყვები:

„აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!"

კარლო ინასარიძე.

საქართველოს დაპყრობის 62 წლისთავზე

(1960წ. ნიუ-ორკის კოლონიის კრებაზე **გ. ნაკაშიძის** მიერ წარმოთქმულ სიტყვიდან).

საუკეთესო მამულიშვილთა ნატვრა -ოცნების განხორციელება, 1918 წელში დამოუკიდებლობის გამოცხადება ქართველი ერის სიხარული და ბედნიერება, ეროვნული მთავრობა - პარლამენტის მიერ უმაღლესი დემოკრატიული პრინციპებ - რეფორმების ცხოვრებაში გატარება და მით მოწინავე კაცობრიობის სიმპატია -თანაგრძნობის მოპოება იყო მოგზაურთ თუ პოლიტიკურ ბოლვაწეთა მიერ

უდავო ჭეშმარიტებად აღიარებული, უზარმაზარ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე საქართველო არის ერთად - ერთი მშვიდობიანობა - სამართლიანობის სანატრელი ოაზისი; ამიტომაც სრულიად ბუნებრივია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კარლო ჩხეიძის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო არც გვრცხვენია არც ვისი გვეშინია“ და მართლაც რისი უნდა შეგვრცხვენოდა? განა იმისი რომ ოცდახუთი საუკუნის განმავლობაში ყოველმხრივ ძლიერი, ულმობელი მტრებით გარშემორტყმულმა, დავიცავით ერის კულტურა - სარწმუნოება, შევინარჩუნეთ საკუთარი სახე - მეობა და გმირული ისტორიული ტრადიციების მატარებელი, კაცობრიობის უმაღლესი, უკეთილშობილესი იდეალებისათვის თავგანწირული მებრძოლნი, ამაყნი და შეუდრეკელნი კვლავ წარვსდექით, კვლავ გამოვედით საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ლამაზი სიტყვის სათქმელად, ნანატრ ოცნების სინამდვილედ გადაქცეულის ყველასათვის ჩვენება - გასაცნობად? ვისი უნდა გვშინებოდა? მრავალ საუკუნეთა გასწვრივ ორი ჩვენი დაუნდობელი მტერი დღეს განიარაღებულ - დაუძლურებული უკვე არავითარ საშიშროებას, არ წარმოადგენდა, ხოლო მესამესთან ხომ თანაარსებობის -მეგობრობის ხელშეკრულება გვქონდა დადებული. თავის ბრწყინვალე ბედისა და მომავალში სავსებით დარწმუნებული ქართველი ერი შეუდგა, დაეწყო მშვიდობიან შემოქმედებით მუშაობას.მაგრამ გულწრფელი და კეთილშობილი ის ვერ იცნობდა თურმე ნამდვილ ბუნებას ყალბ მეგობრისა, ვერ წარმოედგინა თუ რა დიდი ზღვარი იდვა მის სიტყვასა და საქმეს შორის. 15 თუ 16 თებერვალია. ქალაქში აშკარად ლაპარაკობენ, რომ არა სომხები, არამედ რუსის ჯარი შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და მოეშურება ტფილისისაკენ. ხუთ საათზე, სტუდენტთა საგანგებო კრებაა დანიშნული. თავი მოიყარა არა მარტო სტუდენტობამ, არამედ სხვა ხალხმაც. მოლაპარაკეა ჩვენი თაყვანისცემა სიყვარულის საგანი — პროფესორი ივანე ჯავახიშვი-

ლი. ყოველთვის მშვიდი, თავდაჭერილი, ლმობიერი ღიმილით ჩვეულებრივად სახე გაშუქებული, დღეს სულ სხვა გვარად გამოიყურება, თითქოს დასტოვა, ჩამოშორდა მეცნიერების დიად მაღლობებს და აბობოქრებულ გრძნობად ქცეული სახალხო ტრიბუნად აქ მოგვევლინა.

ის ლაპარაკობს მომხდური ძალის ვერაგობა - მუხანათობაზე, მოგვიწოდებს ჩვენი მოვალეობის შესრულებისაკენ, სამშობლოს დამოუკიდებელ თავისუფლებისაკენ მსგავსად ჩვენი წინაპრებისა, დაცვა - გადარჩენისაკენ. ყოველი ძისი სიტყვა გულს ხვდება, გრძნობა - გონებას აფორიაქებს. ხოლო როდესაც თავისი მხურვალე მოწოდება იმით დააბოლავა, რომ თუ საჭიროება ამას მოითხოვს ჩვენ თქვენი მასწავლებლები იარაღს ხელში ავიღებთ და გვერდში ამოგიდგებითო, აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა და ტაში ჭექა - ქუხილმა დაჰფარა საყვარელი მოძღვარის სიტყვები. დაიძრა, დაექანა ტალღა ხალხისა პარლამენტისაკენ, სადაც ქართველი ერის მიერ თავისუფლად არჩეულ დამფუძნებელ კრებას დანიშნული ჰქონდა მთავრობასთან ერთად საგანგებო სხდომა. პარლამენტის ივანზე გამოსულ საქართველოს პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას, მთავრობის და დამფუძნებელი კრების წევრებს სიტყვით მიმართა სტუდენტთა წარმომადგენელმა:

„ახალგაზრდობა მზად არის სიხარულით მსხვერპლად შეეწიოს თავის ქვეყანას, რათა მისი დამოუკიდებლობის საფუძველი და კედლები განამტკიცოს - გაასალკლდეოს". პრეზიდენტმა ნოე ჟორდანიამ მადლობა გადაუხადა სტუდენტობას ასეთი თავდადების სურვილისათვის და დიდების სიმღერით დაიშალა სტუდენტობა სხვადასხვა სამხედრო ერთეულებში ჩაწერილ - განწესებულნი, გაემგზავრნენ მეორე დილითვე მოახლოებულ ფრონტის ველისაკენ. მაგრამ განგებას გამოეტანა უკვე თავისი განაჩენი. ამაო გამოდგა სოლნალუღის, ტ ბახმელა კოჯორის მთების გმირული ბრძოლები. მტრის უხეშმა ძალებმა შემოარღვიეს, შემოანგრიეს ძველი თბილისის კარი-ბჭე, მისი კედლები. პარლამენტის სასახლეზე აფრიალებული სამ-

ფეროვანი ჩვენი დროშა ჩამოგლიჯეს, ფეხქვეშ გათელეს რათა მის ნაცვლად ქართველ მამულიშვილთა სისხლში ამოვლებული წითელი დროშა დაეჭდოთ - გადმოეკიდათ..

თებერვლის ბნელი, მძიმე ღრუბლები გადაეფარა 26 მაისის მზის ბრწყინვალებას, ჩრდილოეთის სუსხმა დააზრო, ამოწვა წალკოტისებურად აქარგულ - აყვავილებული ჩვენი სამშობლო. შავით და ძაძით შეიმოსა საქართველო.. მოულოდნელი დამარცხებით სახტად შთენილი, დირეტიანებული, რაღაც გამოურკვეველ ბურანში მყოფი ქართველი ერი დიდხანს გონს ვერ მოსულიყო, ვერ მიმხვდარიყო თუ რა მოუვიდა, რა დაემართა! ხოლო როდესაც იგრძნო, შეიგნო თავზე დამტყდარი უბედურების საშინელება, დაიწყო საქართველოს ყოველ კუთხეში გამოსვლა - ამბოხებანი.

მე არ შეუდგები მათ ჩამოთვლა - დასახელებას, არ შევეხები გაღებულ მსხვერპლის სიდიადეს და მნიშვნელობას. დასამტკიცებლად თუ რა საერთო, საყოველთაო ხასიათი ჰქონდა ჩვენი დამოუკიდებლობისთვის გაწეულ ბრძოლებს, ტაბახმელა - კოჯორის მთების შევარდნები ქართველი იუნკრები, თავიანთი გმირული თავგანწირვით ოქროს ასოებით სამუდამოდ რომ ჩაეწერნენ ჩვენი ქვეყნის მატიანეში. ჩვენშორის არიან წარმომადგენელნი იმ საქართველოსი, რომელმაც 1924 წელს აჯანყების დროშა ააფრიალა და სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლაში მტერთან ჩამბულმა მთელი მსოფლიოს სიყვარული და აღტაცება დაიმსახურა.

ჩვენგან შორს იმყოფებიან, მაგრამ ჩვენს სულსა და გულს სამუდამოდ დაეუფლნენ, დაეპატრონენ ის მუშები და სტუდენტობა, რომელთაც 1956 წელს მარტის და მაისის დღეებში სამფეროვანი დროშა გაშალეს - ააფრიალეს და საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნის ყიჟინით უშიშრად მიუშვირეს თავისი მკერდი რუსების ტანკებს და ტყვიისმფრქვევლებს.

ჩვენ ხშირად ვივიწყებთ ჩვენს მოვალეობას მონობაში მყოფ ერის წინაშე. ნუ თუ ამიტომ ვცხოვრობთ თავისუ-

ფლების პირობებში, რომ მთელი ჩვენი ნიჭი - ენერგია ერთმანეთის ქიშპობა - ბრძოლაში დავხარჯოთ - გავანიავოთ? ნუ თუ არ არი დრო დარაზმვისა, ერთი ფრონტის, ერთი მთლიანი სახელმძღვანელო ორგანოს შექმნისა რომელსაც შეეძლება ყველას სახელით ილაპარაკოს - იმოქმედოს დავისუფალ ქვეყნიერების პატივისცემა და სიყვარული მოიპოვოს? ჩვენ საქართველოს ჯარისკაცები ვართ, და ბრძოლა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ, ეს ხომ ჩვენი ცხოვრების შინაარსია!

მტკიცედ გვწამს, რომ საქართველო განახლებული ფენიქსებრ ცეცხლით ისევ აღსდგება და უკვდავების შარავანდედით ნათელ - მოსილი კაცობრიობას კვლავ წარუდგება!

შემოვკრბეთ ერთად, ერთი სურვილით, ერთი მიზნითა გატაცებულნი და საქართველოს; ჯვარცმულს—ნაწამებს, შევფიცოთ ჩვენი ერთგულება და სიყვარული! გაუმარჯოს ჩვენს ერთობას, **დიდება საქართველოს!** . . .

გიორგი ნაკაშიძე

ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა

გარდაცვალებიდან - 30 წლის აღსანიშნავად.

30 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დავკარგეთ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია, რომელმაც დასწერა ჩვენი ტანჯული ერის ერთი ბრწყინვალე ისტორიის ფურცელი და საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიების დავალებით, 1918 წელს 26 მაისს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. 11 იანვარს 1953 წელს, დილის სამ საათზე, მე მას სამუდამოდ გამოვემშვიდობე, გამომშვიდობა ეს ჯადოსნური სიტყვაა, იგი გამოუთქმელ სილამაზეს აძლევს ყველაფერს, რასაც ჩვენ უნდა გამოვეთხოვოთ. რატომ მეჩვენებოდა ჩვენი პრეზიდენტი ცამდი მაღალი განსასვენებელ მის სარეცელზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იწვა მშვიდად, ქანდაკის მსგავსი, რომელმაც თავისი ზურგით ატარა ქართველი ერის სვიანობა, და რომლის სახელი ამშვენებს ქართულ უკვდავების სავანეს, ითვლება საქართველოს ისტორიის ერთ საუცხოო სამკაულად, და ირიცხება ჩვენი ქვეყნის უკვდავთა შორის,

მე მას უკანასკნელად ვხედავდი, ჩემს წინაშე ჩაქრა სინათლე, რომელიც ებრძოდა დაუნდობელ სიბნელეს, და თვალწინ წარმომიდგა თავდადებული უნიჭიერესი დიდი მებრძოლი, რომელიც ეწამა თავისუფლების იდეისა და აზრისათვის.

ნოე ჟორდანია მე ვიხილე პირველად პარიზში, ნოემბერში 1925წ. მის სანახავად მე, და ჩემი ორი მეგობარი: მიშა გაფრინდაშვილი, არისტოტელ გველესიანი წაგვიყვანა აწ განსვენებულმა, ჩვენმა მოამაგემ გიორგი წერეთელმა. ჩვენი შეხვედრა მოხდა საქ. დელეგაციაში. პრეზიდენტს მრავალი ქართველები უცდიდნენ, ის ეროვნულ მთავრობის სხდომაზე ბრძანდებოდა, სრულ 12 საათზე ჩამობრძანდა საქართველოს ელჩის ბატონ აკაკი ჩხენკელის ბინიდან, და სალონში შემოვიდა. ბ - ნი გიორგი მისი ჩვეულებრივი ზრდილობით მიესალმა, და წაგვარდგინა პრეზიდენტთან. ბ-ნი ნოე იყო ახოვანი, საუცხოო მოყვანილობის, ალვის ხესავით აშოლტილი, წვრილი, და ისარივით გამართული, მის ფერმკრთალი სიმშვიდით მოსილ სახეს ასხივოსნებდა ვერცხლივით შესანიშნავათ დაყენებული გაბადრული თეთრი წვერ - ულვაში, მისი ბიბლიური სახით, მართლაც ის იყო ქართული რასის სილამაზის წშვენება, მისი მოელვარე ჭკუიანური თვალებით, მიხვრა - მოხვრა ზრდილი, დარბაისლური, — სწრაფი ჩვენ დარცხვენით, მორიდებით წარვსდექით მის წინაშე მან თავზე ხელი გადაგვისვა მოგვეფერა, და გვითხრა „ვაი! როგორ გაგიმეტათ ნენამო“. მისმა განთქმულმა გამტაცებელმა უბრალოებამ და მამულიშვილურმა საუბარმა ჩვენი მორცხვობა დაგვავიწყა, ყველა მის შეკითხვებს გაბედულად ვპასუხობდით. ინტერესით გამოგვიკითხა ყველაფერი და შემდეგ გიორგის შეეკითხა, თუ როგორი იყო

ჩვენი მატერიალური მდგომარეობა, ან სად ვცხოვრობ
დით? გიორგიმ ძოახსენა, რომ ამ მხრით ჩვენ ჯერ - ჯერ-
ობით უბრუხველყოფილი ვიყავით. მოგვცა ძრავალი და
რიგებები, და თუ რაძე დაგჭირდეთ ნუ ძომერიდებითო
და დაგვემძვიდობა. ან ძან ძაშინ რა იცოდა, ან ძე მაშინ
რა ვიცოდი, რომ ექვსი წლის შემდეგ მისი სიძე, და ოჯა-
ხის წევრი გავხდებოდი.

როგორც წელიწადის ოთხი დროიდან კაცი ვერ
ამოიღებ რომელიმეს, ისე ვერ ამოიღებ საქართველოს
დამოუკიდებლობის პერიოდს, ისე მისი შემქმნელის ნ.
ჟორდანიას უკვდავ სახელს. ხალხმა ის აიყვანა ისეთ
პოლიტიკურ ძწვერვალზე, რომელზედაც არც ერთი ქართ
ველი არ ასულა, მისი მეთაურობით აღსდგა ერთი მთლი
ანი საქართველო, რომელიც წარმოიშვა, როგორც აუცილ
ებლობა იმ დროინდელ მღელვარე ცხოვრების წიაღში
ძისი შეუპოვარი ბრძოლებით, გონების სინათლით, სიფხი
ზლით სამშობლოს სიყვარულითა, და პატრიოტიზმით
ქართველი ერის ყოფა ცხოვრებაში შემოიტანა ახალი
შინაარსი, მისი სიტყვიდან ყოველთვის გაისმოდა შთამაგ-
ონებელი მოწოდება რწმენისა, იმედისა, და ადამიანის
დიდებისა. მისი მიზანი იყო თავისუფლება ერის, პიროვ-
ნების, და მისი ნივთიერი კეთილ დღეობა; მისი სტრადე-
გია: მშვიდობიანობა, მისი იარაღი კი ადამიანობა, ჰუმა-
ნიურობა.

სიკვდილის რამოდენიმე დღით ადრე, როგორც ყოველ-
თვის, მე და ასმათი გამოგვაცილა და გვითხრა: ასაკი მე-
მატება, ახლობლები მაკლდება რას იზამ „არვის ძალუძს
მიწიერსა განგებისა გარდავლენა" ასთე ამბობდა რუსთა-
ველი ვიცი, რომ წუხილს მოგაყენებთ ის რაც უნდა მოხ-
დეს, მაგრამ იფიქრეთ, რომ ეს გარდაუვალია, რომ ეს ბუ-
ნების კანონია , ამიტომ მტკიცე საზლვარი დაუდევით
თქვენს განცდებს, მშობლები მიდიან შვილები რჩებიან
მომიგონეთ სიყვარულით - სიხარულით, და არა წუხი-
ლით. გახსოვდეთ, რომ მე ისევ თქვენთან ვიქნები თქვენს
ხსოვნაში, თქვენს სიყვარულში ყოველივე კარგს რასაც

თქვენ გააკეთებთ. შემოტრიალდა და გადაგვკოცნა, და სწრაფი ნაბიჯით განგვშორდა. ამ სიტყვებმა ჩვენ გული მოგვიკლა - დაგვამწუხრა, მას ჩვენთან ასე არადროს არ ულაპარაკია. დიდხან, დიდხანს დამწუხრებულნი ვუყურებდით მის დაუვიწყარ სილუეტს.

ათი დღის შემდეგ დიდი ნოე აღარ იყო —
აღარ იყო ქართველი ერის სულიერი მესაიდუმლე, რომელიც თავიდანვე დაეყრდნო ხალხის ნამდვილ სულისკვეთებას, მის ნამდვილ ტკივილებს და გაიხადა საკუთარ ჭრუნვის საგნად.

ნოე ჟორდანიამ ქართველ ერს შესწირა თავისი სიყვარული, თავისი გატაცება ნდობა, და დაიწვა სამშობლოს წმინდა სამსხვერპლოზე. ხალხმა გააზღაპრა მისი სახელი და ნიშნად მადლობისა მას მიართვა ისეთი თაიგული რომლის სახელია ქართველი ხალხის უდიდესი მარადისეული პატივისცემა და სიყვარული.

ლ. ფალავა.

— : —

წერილი საქართველოდან

12 — 12 — 82წ.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ მივიღეთ წერილი ამხანაგ „ილიკოსაგან", საიდანაც გავიგეთ, რომ ჩვენი პირველი წერილი მიგიღიათ და ეხლა გიგზავნით მეორე წერილს. ჩვენი პასუხის დაგვიანება გამოწვეულია მხოლოდ ტექნიკური დაბრკოლებების გამო და არა სხვა მიზეზით, ეხლა მაქეთკენ ბევრი ხალხი მოდის ზოგი ტურისტული ვიზით და ზოგი მოსაწვევი ბარათებით მაგრამ ამ გზას ჩვენ სხვადასხვა მიზეზებით ვერიდებით, რადგან როდესაც ისინი უკან ბრუნდებიან, მათი ნალაპარიკები ერთობ ჭრელი და სხვა და სხვა გვარია. ლაპარაკობენ; 26 მაისის ზეიმის ჩატარებაზედ, პარიზის ქართულ

რესტორანზედ, ლევილზედ, ლევილის ძმათა სასაფლაოზედ, პარიზის ქართულ ეკლესიაზედ და პანაშვიდების გადახდაზედ, ასე რომ ამ ნალაპარიკებიდან, რაიმე დადებითი დასკვნის გამოტანა ძნელია, მაგრამ აღნიშნავენ პოლიტიკური ემიგრაციის ურთიერთ ცუდ დამოკიდებულებას, რაც ჩვენის აზრით დანაშაულია და შეუფერებელია დღევანდელ ჩვენს პირობებში და განსაკუთრებით თქვენს მდგომარეობაში. ჩვენის აზრით საჭიროა, რომ აქედან ჩამოსულებს პოლიტიკურათ მოერიდოთ და მათი ნალაპარაკები ეჭვის თვალით შეაფასოთ, მაგრამ ქართველური მიღება ეს თქვენზედ არის დამოკიდებული. ჩვენ ვდგავართ ზომიერების ფარგლებში, გვაქვს საკმავოდ რთული, მაგრამ კარგი კავშირები, მივიღეთ მონაწილეობა თბილისში ჩამოსული პოლონელი ახალგაზრდებისათვის ფურცლების გადაცემაში, მაგრამ არ ვიზიარებთ სახაროვის ხაზს, რადგან ის შორს არის ერთა დამოუკიდებლობის იდეისაგან. მის ფილიალს წარმოადგენს ეგრედ წოდებული გამსახურდიას ჯგუფი, რომელმაც დაკარგა წონასწორობა და რაც მთავარია ნდობაც. საუბედუროდ გამოჩნდნენ აგრეთვე მოანარქისტული მიმართულებაც, რომლებიც არ ერიდები ან არც ტერორს და არც შავ ბაზარს ფულის შოვნის მიზნით - 1982 წელს აპრილში დაბერიტეს 4 ქართველი, თით ქოს ჯაშუშური ცნობების მიცემის გამო, მაგრამ სასამართლო მიმდინარეობდა დახურულ კარებში და ოფიციალურად აბრალებდენ დიდ სპეკულიაციაში მონაწილეობის მიღებას. ვიცით რომ მანდ გყავთ გეპეუს აგენტები, რომლებიც აქ აწვდიან მოგონილ ცნობებს თქვენს შესახებ. სხვათა შორის აქ ამზადებენ ახალგაზრდობას ინსტიტუტებში უცხო ენების შესასწავლად, რომლებიც შემდეგ იგზავნება საჯაშუშოდ დასავლეთში და აღმოსავლეთში. ერიდეთ ახლად ჩამოსულ ემიგრანტებს. მათი შესწავლისათვის ბევრი დრო არის საჭირო. გ ე პ ე უ ს აგენტებს ძმთავრესად აინტერესებთ პარიზი და მიუნხენი. ილიკოს წერილიდან გავიგეთ საზღვარგარეთელი ბიუროს შემადგენლობა, საიდანაც სჩანს ბევრნი არა ხართ, მაგრამ მთავარია, რომ დგეხართ ჩვენი ერის ნეთაურების მიერ დატო-

ვებულ ანდერძის გზაზედ და იზიარებთ 26 მაისის იდეალს, დამოუკიდებელ საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში. საერთოდ აქ ბოლშევიკებმა ხალხს თავი მოაძულეს ლენინიზმ-მარქსიზმის პროპაგანდით, რაც ისეა არეული ერთმანეთში, რომ კაცმა არ იცის სად იწყება მარქსიზმი და სად თავდება ლენინიზმი. ერთი ცხადია მათ ერთ შანეთთან საერთო არაფერი აქვს.

უდავოა პროგრესმა თავისი ქმნა; ტექნიკისა და ეკონომიურ გარდაქმნას მოჰყვა მარქსიზმის მოძველება, რომლის სახელით დედაშიწის ერთ მეექვსედს ბოლშევიკებმა მონობის მძიმე უღელი დაადგა. თვით მარქსი ხომ რუსეთს თავის დროზე იმპერიალისტურ და რიაქციონურ ერად ასახელებდა. მიუხედავად მარქსის დებულების მოძველებისა ის მაინც რჩება ისტორიაში, როგორც მუშათა და გლეხთა ინტერესების დამცველი, რომელმაც მონური შრომის წინააღმდეგ პირველი ზარი ჩამოჰკრა. სულ სხვაა ლენინიზმი ის არის ბოლშევიზმის საძირკველის ჩამყრელი, რომელზედაც სტალინმა აღაშენა უდიდესი იმპერია პატარა ერების დაპყრობისა და თვით რუსეთის მუშათა კლასის მონობისა.

როგორც ვთქვით მარქსის დებულებები მთელ რიგ საკითხებში მოძველებულია და შესაცვლელია, მაგრამ საქართველოს განთავისუფლების იდეა რჩება შეუცვლელი

ჩვენ იმედი გვაქვს ლენინიზმი მოისპობა, ბოლშევიზმი ისტორიის შავი ფურცლების მასალად გახდება, პატარა ერები განთავისუფლდებიან, საქართველო აღსდგება 26 მაისის ნიადაგზედ და ის გახდება ბატონ პატრონი, დამოუკიდებელ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კონსტიტუციისა.

ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ი.

ა ი რ ა ს ს წ ე რ დ ნ ე ნ . . .

პოლიტიკური ერთობა, შეურყეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე, რუს ხალხთან ქართველი ხალხის თანასწორ უფლობიანობის აღდგენა. რუსის ხალხის საღ გონებას საერთო

არაფერი აქვთ ზოგიერთი განსაზღვრული ყაიდის რუს ლიტერატორებთან, გამსჭვალულხი რომ არიან ველურ რასობრივ გახკერძოებულებით. ველიკოროს შოვიხისტებს მაგ. კატოვს, რომ ჰკითხოთ როგორი უნდა იყვეს რუსი პატრიოტი ბოგიგებს: იგი უნდა სჩაგრავდეს ყოველ სხვა ტომს რუსეთთან შეერთებულსა, და გარედ უხდა ელტვოდეს მთელი ევროპის გ ა ლ ე ს ვ ა ს. ამჟამად ქართველები ერთ ერთი ყველაზე დაჩაგრული, ყველაზე შეურაცჰყოფილი ეროვნებაა, რუსეთის იმპერიაში. ქვის გული უხდა ჰქონდეს საქართველოს შვილს რომ ეს ისტორიული მოვლენა სავსე ... კული მნიშვნელობით გაიცნო ისე, რომ დარდით და ნაღველით არ აღივსო. მხრთალი მონებივით შევსცქერით ჩვენს დამონება - დამარცხებას. (თხუზ. ტომი - 2 - 3 გვ. 447.) — **იაკობ გოგებაშვილი — თბილისი 1933 წ.**

საქართველოს რუსეთთან შეერთება არ მომხდარა ნებაყოფლილობით. პირიქით, ეს იყო ნამდვილი, მთელი რიგი ძალდატანებითი მოქმედება, რასაც თან ახლდა ერთის მხრივ რუსეთის ვერაგობა, მოტყუილება, ხოლო მეორეს მხრივ სისხლიანი ბრძოლები. **„საქართველო მე 19 საუკუნეში“ — ფ.მახარაძე თბილისი - 1930 წელი.**

არის რაიმე ძირითადი განსხვავება დღევანდელ, და იმ დროინდელ რუსეთს შორის? მოუსმინოთ მარკიზ დე კიუსტენს, რომელმაც იმგზავრა რუსეთში 1839წ. ნიკოლოზ პირველმა ის დიდი მეფური პატივით მიიღო. მან ვრცელი შრომა გამოაქვეყნა რუსეთზე, ის სწერს: „რუსეთის მთავრობას ამჟამად აქვს მხოლოდ ერთი უნარი ქვეყნების დაპყრობა. რუსეთში მოძრაობა და მსჯელობის თავისუფლება, შეზღუდულია. თქვენ მხოლოდ ერთ თავისუფლებას გიბოძებენ - თავისუფლებას, რომ გამოთქვათ აღფრთოვანება დამყარებული ხელისუფლებით. თქვენ არაფერში არ გეუბნებიან უარს, მაგრამ ყველგან თან დაგდევენ, ამგვარად თავაზიანობა თქვენი თვალყურის დევნის წესად იქცევა“.

მარკიზ დე - კუსტენი „ნიკოლოზ 1 - ის დროინდელი რუსეთი“ გამომცემლობა პოლიტკატორღელი. თბილისი 1935წ.

„რუსეთის პოლიტიკა უცვლელია, როგორც ანას ალიარებს მათი ოფიციალური ისტორიკოსი კარამზინი: მისი ტაქტიკა შეიძლება შეიცვალოს, ნაგრამ მისი პოლიტიკის მანათებელი ვარსკლავი უცვლელი და ურყევია. ბატონობა, ბრძანებლობა, გამგებლობა და დამორჩილება სამყაროსი. (კარლ მარქსი. 22 იანვარი 1867 წ.)

(გამოქვეყნეულია პოლონეთის რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების ოთხი წლის თავზე მიძღვნილ წერილში).

შენიშვნა: კ. მარქსის გარდაცვლების ასი წლისთავი მოსკოვმა დიდი ზეიმით აღნიშნა. გაზეთი „პრავდა“ სწერს „მარქსის ნაწერებს ჟამთა მსვლელობა სულ არ დასტყობია, იგი ისე აქტუალური არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღესო“

საინტერესოა რას ფიქრობს „პრავდა“ ზემოთ მოყვანილ კ. მარქსის ციტატებზე?

— : —

„მტრობა ენის არს მტრობა ქვეყნის“

ილია

ქართველი ერის მაღალი ეროვნული თვითშეგნების ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო 1978 წლის 14 აპრილის ქართული საზოგადოების მიერ ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუტის დაცვა.

გასულ წელს ჩვენმა ერმა 14 აპრილს საქართველოსათვის ლოცვის დღეთ გამოაცხადა.

მოგმართავთ ყველა ქართველს ამ დღეს ლოცვით მოიხსენიოთ სამშობლო ჩვენი, ერი ჩვენი და ენა ჩვენი.

დაე ამ დღეს თქვენს მიერ უფლისადმი, საქართველოსათვის ანთებული სანთელი იყოს სიმბოლო ქართველი ერის უკვდავებისა, აწ და მარადის უკუნითი-უკუნისამდე. - **ამინ.**

ამ თქვენმა კეთილშობილურ ღირსეულმა მოწოდებამ, შორს თქვენგან, სამშობლოს ძალადობით მოშორებულთ, პარიზში მყოფ ქართველებამდის, მხოლოდ 82 წლის მიწურულში მოაღწია.

ამა წლის 14 აპრილს თანახმად თქვენი მომართვისა დეკანოზ ილიამ პარიზის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიაში სწირა, და უკვდავების სანთლები აუნთეთ ქართველი ერის და ჩვენი დედა ენის მარადისობას.

მამაო ილიამ თავის მგრძნობიარე ქადაგებაში სთქვა, რომ ჩვენ ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ე ნ ა, და იშვილა მამული და ერი ჩვენიო. სასიამოვნოდ მღერდა ქართული გუნდი. თუ კი ყოველ დღე, ყოველ საათს ჩვენი შემეცნებით თქვენთან ვართ, დღეს განსაკუთრებით ანთებული სანთლებით, მთელი ჩვენი არსების გატაცებით ვიყავით თქვენთან, და თქვენით ვამაყობდით, რადგან თქვენ ხართ ბრწყინვალე ქართველები, იცით დედა ენის და სამშობლოს თავისუფლების ფასი. თქვენ დაამტკიცეთ უდიდესი თქვენი ჭეშმარიტი მამულიშვილობა, რადგან თქვენ უმთავრეს საგნად გაიხადეთ ჩვენი მშობლიური ენის დაცვა, რომლისთვისაც თქვენ არ დაიშურეთ არც თქვენი რაინდული სისხლი და არც თქვენი სიცოცხლე. სირცხვილი იმ გუთნის დედას, ვინც მამა პაპის საფლავს ხნავდეს, და მის ენას არ იცავდეს. ქართველი ერის ყოფნა არ ყოფნის საკითხი მისი ენის დიად გრდემლზე იჭედება; ეს ი. გოგებაშვილმა ყველაზე ნათლად გვასწავლა:

„უპირველესი ნიშანი ერისა ენა. მშობლიური ენა ძირითადი ეროვნული ძალა, მთავარი ბურჯია ეროვნებისა, ენა არის თვით სიცოცხლე; როცა ენა ჰქრება, ჰქრებრება; ქრება ხალხიც, ვიდრე ენა ცოცხალია და მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს, ხალხიც ცოცხალია, და იმისთანა აუტანელი ძალადობა არ იქნება რა, რომ წაართვა ხალხს ენა სამკვდროთ შექმნილი, და ის ყველაფერის დაბრუნებას შესძლებს; მაგრამ თუ ენა წაართვით ის თავის დღეში ვეღარ შეჰქმნის მას. მოკვდა ხალხის ენა და მოკვდება ხალხიც“

(ი. გოგებაშვილი. თხუზ. ტომი პირველი გვერდი 207 და 416)

ჩვენს მიწას გვედავებიან, ჩვენს კაცობას, ჩვენს სახლკარს,, და უპირებენ დამარხვას ენას ჩვენსას. დალახრულ დაწყევლილი იქნეს ხსენება მისი ვინც ჩვენი ენის წაშლაზე ოცნებობს. კურთხეულ იქნეს ანბანი ჩვენი, ენა ჩვენი, მამული ჩვენი და ერი ჩვენი. — **აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე! — ამინ.**

დამსწრე.

—[:]—

26 მაისი პარიზში

26 მაისი ნათელი და სანუკვარი დღე, წელს პარიზში ქართველობამ შემდეგნაირად აღნიშნა:

ხუთშაბათს 26 მაისს 1983 წელს სრულ 18 საათზე ქართველ მხედართა სახელით „ეტუალი" - ს სატრიუმფო თაღში დაკრძალულ უცნობ ჯარისკაცის საფლავზე, ქართულ ეროვნულ, და ქართველ მხედართა დროშებით, მიიტანეს ცოცხალი ყვავილების ქართული ფერებით შემკული გვირგვინი. დგება დუმილის წუთი. სათვისტომოს თავმჯდომარე სპეციალური ხმლის შეხებით, რომელიც მას გადასცა საპატიო ყარაულში მდგარმა ფრანგმა ოფიცერმა ააგიზგიზა მარადიული ცეცხლის ალი. გაისმა სამგლოვიარო მუსიკის ჰანგები, და იმ წუთებში ყველა ქართველი სამარადჟამო დიდებას უძღვნიდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირებს.

იმავე საღამოს მამა ილიას წმიდა ნინოს ეკლესიაში გადაიხადა პარაკლისი ამ დიადი დღის აღსანიშნავათ და წარმოსთქვა დიდად ღრმა შინაარსიანი ქადაგება.

ოთხ ივნისს კი, „შაიოს გალერი“ - ს დიდ დარბაზში მოეწყო 26 მაისის სანახსოვრო საღამო, სადაც შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა სათვისტომოს თავმჯდომარე ბატონი თამაზ ნასყიდაშვილი, (დაბადებული პარიზში), რომელმაც ჯერ მშობლიურ ენაზე მიულოცა ქართულ საზოგადოებას დიდი 26 მაისის დღესასწაული, გამოსთქვა სრული რწმენა, რომ საქართველო კვლავ იქნება თავისუფალი და ჟამთა სვლა ვერ აღმოფხვრის თავისუფლების სურვილსო. შემდეგ ფრანგულად ვრცლად გადაუშალა დამსწრეთ ჩვენი ტანჯული ქვეყნის ისტორიის ფურცლები; ხაზი გაუსვა საზოგადოთ, რუსეთი როგორ უხეშად არღვევს მის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს, მოიხსენია გიორგიევსკის ხელშეკრ-ბის ფეხქვეშ გათელვა: შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოსთან, და მასზე მუხანათური თავდასხმა, დაპყრობა, ფიზიკური განადგურება და ტანჯვა ჩვენი ქვეყნისა. როგორც ძველი მეფის რუსეთის, ისევე დღეს ხალხთა მეგობრობის ნიღაბის ქვეშ, რუსეთის იმპერიის მიზანი რჩება უცვლელი, გარუსება; გარუსება დაპყრობილი ერების, მათი შერწყმა, და შექმნა რუსული ყაიდის საბჭოთა ადამიანის, სადაც იმეფებს ენა რუსული ზნეჩვეულება რუსული. მათი სურვილია: განადგურების ზღვაში შთანთქოს ჩვენი ქვეყანა, და საქართველოს სიცოცხლე.

ჩვენი წინაპრები ღირსეულად, გმირულად იბრძოდენ ჩვენც ვიბრძვით აღსავსენი იმედით ჩვენი ქვეყნის დიდებისა, მიწაწყლისა და კულტურისა. საქაროველო მიუხედავად ამ მრისხანე დღეებისა, კვლავ აღსდგება, და 26 მაისი მთელი თავისი სიძლიერით კვლავ გამობრწყინდება თავისუფალ საქართველოს სპეტაკ ცაზეო.

მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ქართველობას მამა ილიან. მოსალოცი სიტყვები წარმოსთქვეს უკრაინის და უნგრეთის ემიგრაციის წარმომადგენლებმა, სიტყვების შემდეგ პოეტმა გიორგი ყიფიანმა წარმოსთქვა მისი ცნობილი ლექსი „პოეტის ფიცი“. შემდეგ ბატონმა გი-

ორგი წერეთელმა, „თ. ტ."-ის რედაქტორ - გამომცემელმა გრძნობით წარმოსთქვა გ. ლეონიძის ლექსი. აგრეთვე შესანიშნავ ქართულ კაბით შემოსილმა, სრულიად ახალგაზრდა სალომე კობახიძის ასულმა განსაკუთრებული მიმზიდველობით წარმოსთქვა ქართული ლექსი.

არტისტულ პროგრამაში შედიოდა ქართული სიმღერები, ოთარ პატარიძის ხელმძღვანელობით. უცხოეთში დაბადებულ - დაფაქაცებულმა, ქართულ ჩოხებში გამოწყობილმა ახალგაზრდებმა, რომლებიც მოკრძალებით გამოვიდენ სცენაზე დიდი გემოვნებით და სიყვარულით შეასრულეს მათი პაპათა სიმღერები. მათ არა მარტო უსმენდე არამედ აუცილებლად უნდა უყურებდე,რომ უფრო მეტად განიცადო მათი და ჩვენი სამშობლოს სიყვარული. დასასრულს მომხიბლავი სილამაზით დ. დავრიშაშვილის სრულიად ახალგაზრდა ასულმა მშვენიერ ტანოვანმა, საუცხოო ტეხნიკით იცეკვა „კინტაური" რამაც გამოიწვია საზოგადოების აღფრთოვანება და ხანგრძლივი ტაში.

შემდეგ გაიმართა ტრადიციული ბუფეტი.

დ ა მ ს წ რ ე.

— : —

ს ო ფ ო ლ ა ნ

სოფოს ქართულმა სათვისტომომ 26 მაისის დღესასწაული იზეიმა 28 მაისს. სხდომა გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბატონმა გრიგოლ ქვარცხავამ, რომელმაც მოკლე შინაარსიან, გრძნობით აღსავსე სიტყვაში ილაპარაკა 26 მაისის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ზეიმს დაესწრენ პარიზიდან კოლონიის თავმჯდომარე თამაზ ნასყიდაშვილი, ვ. ხომერიკი და გ. ბოლქვაძე, რომლებმაც ცალცალკე წარმოსთქვეს გრძნობებით სავსე პატრიოტული სიტყვები. ზეიმს ესწრებოდენ კოლონიის ყველა წევრები და აქ დაბადებული ახალგაზრდები ოჯახობითა და შვილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამართული ნადიმის თამადად იქნა არჩეული, ბატონი თამაზ ნასყიდაშვილი. პარიზიდან ჩამოსულ პირთა სადღეგრძელოებმა დიდი აღფრთოვანება და ტაშის ცეცა გამოიწვია. ზეიმის დამთავრების შემდეგ დამსწრებნი გაემართნენ სოშოს ძმათა სასაფლაოზე მონბელიარში მათი ხსოვნის პატივსაცემად.

სოშოს ქართული კოლონიის გამგეობა.

მიწვევის ბარათი მილებული მუსულმან ქართველთა სოფელ ჰეირიეს, (თურქეთი) ტურისტთა კლუბის გახსნის ზეიმზე.

სოფელ ჰეირიეს ტურიზტთა კლუბი. ინეგოლ ქალაქ—ბურსა. თურქეთი.

ძვირფასო ვიქტორ ხომერიკი! 15 7 1983 წ. პარასკევს საათის 15:00 სოფელ ჰეირიეს იწყება კულტურის სახლის გახსნის ზეიმი. ჩვენი სურვილია დაესწროთ ამ მნიშვნელოვან დღეს.

პატივისცემით ი. ო. **მელაშვილი.**

გახსნის პროგრამა: 1. გახსნის წარმოთქმა; 2. კლუბის თავმჯდომარის წარმოთქმა; 3. შაირები; 4. სტუმრებთა წარმოთქმა; 5. ფოლქლორი: ა. ყმაწვილთა გუნდი; ბ. მოზრდილთა გუნდი; გ. მოხუცთა ვოკალური გუნდი.
6. სპორტიული და სამხიარულო სკპეკტაკლი.

მესამე დასი - მესამე გზა

ამ სახელწოდებით გამოაქვეყნა შრომა ჩვენმა ამხანაგმა კარლო ინასარიძემ, ქალაქ მიუნხენში. ეს მეტად საინტერესო, დასაბუთებული, და ღრმა შინაარსის უნიკალური ნამუშევარია, რომელი დღის სიცხადით გულ და-

თუთქული ქართველი იქნება, რომ არ მიესალმოს, მიულოცოს და გამოუცხადოს ავტორს მადლობა მისი შრომისათვის.

ამ წიგნში თავმოყრილი აქტები, და ფაქტები საგულისხმიერია ჩვენთვის, იმ ამბების მომსწრეთა, მონაწილეთათვის რაღა იქნება, რაღა ითქმის იქ, საქართველოლოში, საბჭოთა გაცრუებულ - გაყალბებულ ლიტერატურით გულშემოყრილ თაობებისათვის. თუ არა გამამხნევებელი.

სიმონ ბლიაძე.

„ჩვენი დროშის“ სარედაქციო კოლეგიას

პატივცემულო რედაქტორო, გთხოვთ რომ ეს ჩემი განცხადება მომითავსოთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში:

ბატონმა ალექსანდრე სულხანიშვილმა და აწგანსვენებულმა ბადურაშვილმა ჩემი წიგნიდან ამოიღეს, ჩემი ურთიერთობის შესახებ განსვენებულ ქ. ჩოლოყაშვილთან. ამახინჯებენ რა სინამდვილეს, შემიძლია გულწრფელად განვაცხადო, რომ ჩემ წიგნში დაწერილი ეპიზოდი სრულიად სიმართლეა და ფაქტების დასამტკიცებლად განსვენებულის წერილებიც ხელთა მაქვს, რომლის გამოქვეყნება ჯერჯერობით საჭიროდ არ მიმაჩნია და ჩვენს ახლო ურთიერთობას მის მიერ ჩემდამი მოძღვნილ სურათის წარწერაც ნათლად ამტკიცებს, რომელიც მან მე ბოლომდე გარდაცვალების რამდენიმე ხნის წინ.

პატივისცემით ვ. ჩუბინიძე.

განცხადება

ამ უკანასკნელ ხანებში, ქართულ ემიგრაციაში ვრცელდება ბროშურები, რომელიც თავდება: „ქართული თვითგამოცემის სერიიდან . . . საქართველოს დედაქალაქი არის ტფილისი“.

სხქ. სოც. დემ. პარტიის ბიურო კატეგორიულად აცხადებს, არც მას და არც საქ. დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციას, არავითარი კავშირი არა აქვს, არც იმ პირთან, ან პირებთან ვინც ამ ბროშურებს ბეჭდავს და ავრცელებს, სოც. დემოკრატიული პარტიის საზ. გარეთელ ბიუროს დასამალი არაფერი არა აქვს, და თუ მას რაიმეს გამოქვეყნება უნდა, იმას გამბედაობაც აქვს ხელი მოაწეროს, რადგან „რასაც ვაკეთებთ მისი არც გვეშინია და არც გვრცხვენია“

საქ ს. დ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო-

სამგლოვიარო

უცხოეთში გათხრილ ცივ სამარეს, ჭმუნვით შეპყრობილნი, ‘ვაბარებთ ჩვენ ძვირფას თანამემამულეებს.

გულის ტკივილით ვაქვეყნებთ მათ სახელებს, და უცხადებთ გულწრფელ სამძიმარს მათ ნათესავებს, და მეგობრებს.

ირინე ანთაძისა, ილია ჯაბადარი, აკაკი ჩიხლაძე, ირაკლი მანთეშაშვილი, ირაკლი მჭედლიშვილი, მარიამ ზალდასტანიშვილისა, გიორგი თოხაძე, რეი ზურაბიშვილისა, გოგოშა გეგეჭკორი, გიორგი ყაველაშვილი, მამაშვილი მიხეილ და დიკა კედია, საშა კარგარათელი, ბორის მიმინოშვილი, ანა შავლაყაძე, ნიკო ყურულაშვილი, იასონ მამულაიშვილი, კ. მაჭარაძე.

„ჩ. დ.“

ნელი (ელენე) მდივნის წმინდა ხსოვნას

ამა წლის 6 აპრილს ლევილის სიმშვიდის სამარეში, სამარადისოდ ჩავასვენეთ დიდი ქალბატონი ნელი, რომელმაც ყოველ ჩვენთაგანს დაგვიტოვა თვალზე ცრემლი და გულში იარა. მის ძვირფას შვილებს, შვილიშვილებს, და მისი სიძის ხსოვნაში კი წაუშლელ სპეტაკ

სვეტად აღიმართება მისი უკვდავი ხსოვნა. ის ჩუმად მივა მის შვილებთან, ჩამოუჯდება სათუმალთან და მათ სიყვარულით მიეალერსება.

ქალბატონი ნელი იყო სასიქადულო მეუღლე დიდი მამულიშვილის, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის სიმონ მდივანის, რომელმაც სამშობლოს უანგარო სიყვარული ნათლად ჩაუნერგა არა მარტო მის ოჯახს, არამედ ყველა ჩვენგანს.

კეთილო მონაო ღვთისა თქვენთვის სამარე ცივი მიწა კი არ არის, არამედ ყველას, დიახ ყველას ნათელი და მხურვალე გულია!

საუკუნო იქნეს ხსენება თქვენი.

ლ. ფ.

მიხეილ (მიშა) ხუხდაძის კეთილ ხსოვნას

ვაგლახ ბედშავო ქართულო ემიგრაციავ, შენს ოჯახს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი წევრი გამოაკლდა. მიშა იყო უმაღლესი განათლების, რწმენით სოციალდემოკრატი, ის იყო მშვიდი და დარბაისელი ქართველი, უყვარდა სამართლიანობა და ადამიანის ღირსეული პატივისცემა. კალამი მადლიანი 'მეგობილი, მდიდარი აზრით, შინაარსით და ფართე ჰორიზონტით. ემიგრაციაში მან შეიქმნა კარგი პირადი მდგომარეობა, მაგრამ არ დაივიწყა უფრო ძლიერი, უფრო მტკიცე, უფრო უსათუთესი განძეული: საშობლო, დედმამის კერა, და დედა ენა. .

პირადმა კეთილდღეობამ არ დაგავიწყა არც მხარე შენი და არც კერა შენი. საუკუნო იყოს ხსენება შენი!

მეგობარი — პარიზი1988 წ.

საქართველოს სოც. დემ. პარტიის ბიუროს

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მწუხარება და სამძიმარი თქვენი პარტიის წარჩინებული წევრის და საქართველოს დიდი მსმულიშვილის და დიდი ადამიანის მიხეილ ხუნდაძის გარდაცვალების გამო.

ღრმა პატივისცემით გიორგი ნაკაშიძე.

ილიკო სალუქვაძის ხსოვნას

ილიკო სალუქვაძე დაიბადა 1897წ. 15 იანვარს, ილიას ძმის რაჟდენის სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადების ეპიზოდები კარგად აქვს აღწერილი ვლასა მგელაძეს, ხოლო ილიას და მისი ძმის საგმირო ბრძოლებზე საკმაოდ მეტყველობდნენ ნაშინდელი ჟურნალ-გაზეთები ორივენი იყვნენ განუყრელნი თანამშრომლები ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებლის, რომლებიც ინაწილებდენ ყოველგვარ სიმძიმეს დამოუკიდებელ საქართველოს თავდასაცავად. დიდია მათი წვლილი ვალოდია გოგუაძის საამაყო და საარაკო ბრძოლების დროს, რის გამო ევგენი გეგეჭკორმა საქართველოს პარლამენტში ვალოდია გოგუაძე პირველ ეროვნულ გმირად გამოაცხადა, მათ შეიღეს მონაწილეობა მდინარე ჩოლოხზედ თურქების შემოტევის უკუსაგდებად, რითაც საქართველოს ისტორიაში ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა. ბევრმა არ იცის რომ ან ბრძოლებს ესწრებოდა ყველაგან პატივცემული, ახალი ჯვარდაწერილი ნამეტია გოგუაძისა. ილია იყო დის შვილი ალექსანდრე ლომთათიძისა, რომელიც მიჰყვებოდა თავდავიწყებით ბიძიას გზას.

საქართველოს გასაბჭოებისას ის შევიდა ადმინისტრაციაში, რაც მას აძლევდა საშუალებას დახმარებოდა მრავალ ტანჯულ ჩვენს პატრიოტებს, მაგრამ როდესაც გაიგეს რომ ის იყო იქ შეფარებული, იძულებული შეიქნა გაქცეულიყო და გაეფრთხილებია მესაიდუმლები ვალოდია დოლიძე და აკაკი ვადაჭკორია. თვითონ კი გადმოიხიზნა საფრანგეთში, სადაც დაიწყო მუშაობა „პეჟოს" ქარხანაში. საქართველოში კი ბოლშევიკებმა მისი და ჩემი ოჯახი დაატეხეს, ცოლმა თავი მოიკლა, ხოლო შვილები მეზობლებმა დაზარდეს. საფრანგეთში მან ჯვარი დაიწერა იშვიათ პატიოსან შრომის მოყვარე, ლანაზ და სათნო ადამიანზედ გამოზარდეს განათლებული და მშობლების მოსიყვარულე შვილები, რომლებიც ამშვენებენ სოშოს ქართულ კოლონიას. მე მისი მეგობარი, ავადმყოფობისა გამო მის დასაფ-

ლავებას ვერ დავესწარი, რაც სულიერად მტანჯავს, მაგრამ სულითა და გულით ვიზიარებ მისი ოჯახის მწუხარებას.

პრ. ინწკირველი.

ბაზოკრა ამილახვარი

გმირული დაღუპვის 40 წლის თავი.

1982 წლის 21 ოქტომბერია, ქართულ ეკლესიაში უჩვეულო ხალხ - მრავლობაა. პანაშვიდს უხდიან 40 წლის წინად, ერიტრეას დიდ გადამწყვეტ ბრძოლებში გმირულად დაღუპულ ლეიტენანტ კოლონელ ბაზურკა ამილახვარს, რომელიც დაეცა საფრანგეთის თავისუფლებისათვის აფრიკის ნცხუნვარე უდაბნოში.

ეკლესიაში მოვიდნენ მის საპატივცემულოდ მისი ფრონტის მებრძოლი ოფიცრები, და ჯარისკაცები, მრავალნი უცხოელთა ლეგიონის წარმომადგენლები, დროშით და საპატიო ყარაულით, რომლის გვერდში იყო შავი არშიით მორთული ჩვენი ეროვნული დროშა. ამ დივიზიის სწორუპოვარი გახლავდათ უდროოდ გულ განგმირული, მისი ჯარისკაცებისათვის უაღრესათ პოპულიარული და უსაყვარლესი გმირი ბაზორკა,.

გენერალ დეგოლმ ის დიდი პატივით და დიდებით მოიხსენია თავის მოგონებებში, ცნობილ გენერალ კატრუმ მისდამი მიძღვნილ სპეციალურ წერილში, ის აიყვანა უსაზღვრო საპატიო მხედართა მწვერვალზე, და დასძენს „მე ნახ ვთხოვე მიეღო საფრანგეთის ქვეშევრდომობა,, მან მოკლეთ და ცივად მიპასუხა: მე ვარ ქართველი, ვრჩები სიკვდილამდე ქართველი, მაგრამ გაძლევთ სიტყვას, სიტყვას გაუტეხელს, ოფიცრისას, რომ საფრანგეთს უყოყნანოდ შევწირავ ჩემ სიცოცხლესო“ დიახ მან თავგანწირულად იბრძოლა და შესწირა თავისი სიცოცხლე მის მეორე სამშობლოს. მან მოგვცა ერთგულების, ვაჟკაცობის, და რაინდული სულის შესანიშნავი მაგალითი. მისი ვაჟკაცობა, ემბლემასავით სიმბოლოსავით შერწყმული მოვალეობის, გმირობის, და მიცემული წმიდა ქართული სიტყვის გაუტეხელობით.

საუკუნო იქნება ხსენება მისი.

არშაკ ჯამალიანი

1882 - 1982

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, სომეხ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული საპატიო ადგილი უჭირავს ა. ჯამალიანს. მან განათლება გერმანიაში მიიღო დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე გერმანიაში ჩამოაყალიბა და დაარსა დაშნაკთა პარტია. 1912 წელს ჩამოდის თბილისში და ირჩევენ თბილისის სომეხთა ნაციონალურ ბიუროს წევრად.

1918 წ. ის წევრია იმ დელეგაციის, რომელიც გაიგზავნა ქალ. ერზიადში თურქებთან მოსალაპარაკებლათ რათა შესწყდეს სომეხთა ხოცვა და ჟლეტვა. 1918წ. ივნისში დამოუკიდებელ სომხეთის ელჩათ ინიშნება. თბილისში მან დიდი დადებითი მუშაობა გასწია სომეხ ქართველთა მორიგებაში კონფლიქტის დროს.

სომხეთის გასაბჭოების შემდეგ ის პარიზში სახლდება, დიდი მომხრეა კავკასიის ერთა კავშირის, უპირატესობას აძლევდა ყოველთვის საქართველოს, და სომხეთის დაახლოებას, ღრმად სწამდა, რომ ორი მოძმე ერის დაახლოება მოუტანდა კავკასიაში მცხოვრებ ერებს დიდ ნივთიერ კეთილდღეობას, და სამხედრო ძლიერებას. 1936 წელს პარიზში საქ. ეროვნული მთავრობის წარმომადგენელ აწ განსვენებულ დავით ვაჩნაძესთან ერთად აარსებენ ქართველ - სომეხთა ერთობის ორგანოს, ის ბოლომდის დარჩა ერთგული ამ იდეის.

ვინც იცნობდა ამ დიდ მიმზიდველ - მომხიბლველ პიროვნებას, გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ჩვენი ქვეყნის გულწრფელ მეგობარს მას არასოდეს არ დაივიწყებს.

„ჩვენი დროშა“

ჩვენი ფონდი.

„ჩვენი - დროშა“ - ს რედექცია უღრმეს მადლობას უცხადებს, ყველას ვისი კეთილშობილობით, და მეოხეობით ჟურნალი განაგრძობს არსებობას:

კ. მაჭავარიანი - 200ფ. პავლე ვაშაძე 200ფ. ჯაფარიძე ი, 200ფ. შ. ბერეჟიანი 50ფ. რ, გოგიტიძე 50ფ, ნათ ჟორდანია 500. მარინა ჟორდანია 100. ს. ბლიაძე 300. სერგო დონდუა 300; ეთერი ფალავა 200; გ. ყიფიანი 100; თათრახან ანთაძე 100. კ. ალშიბაია 50. ასმ. ფალავასი 400ფ. აკ. შავგულ ძე.200ფ. გრიშა წერეთელი 200ფ აკაკი გამსახურდია 50ფ. გიორგი ნაკაშიძე 457ფ. ლევან ფალავა 520. ვალიკო ჩუბინიძე 200. ვანო ბედელაძა 100. გერასიმე ბოლქვაძე 500ფ შოთა აბაშიძე200ფ. ვალი კვაცხავა 100ფ. გაბი სალუქვაძისა100ფ. პოლ. ზედგენიძე 100. გიორგი დუიშვილი 100. ქალბატონი ბარნოვი 150ფ. ლუბა აბდუშელისა 500ფ. გრიგოლ ბარამიძე 100, დავით ვაშაძე150ფ. გივი გაბლიანი 85ფ. ისიდორე გაჟონია50 დოლარი. ტერეზ ჟერმიონ 100ფ კარლო ინასარიძე 200 ფ. მამია ბერიშვ ლი 200 ფ.

1982 წლის შემოსავალ - გასავალ ანგარიშების შემდეგ ამ ჟურნალის გამოსაცემად სალაროში დარჩა 6507ფ.

სარევიზიო კომისია - 10 — 12 — 83წ.

R-902